ხობის მოამბე

№2 (7015) 3 თებერვალი,
ორშაბათი, 2014 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

23 იანვარს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს 2014 წლის პირველი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა უძღვებოდა სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა. საკრებულოს

თავმჯდომარემ კოლეგებს მიულოცა ახალი სამუშაო წლის დაწყება და წარმატებები უსურვა საქმიანობაში.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სხდომაზე პირველ საკითხად განხილულ იქნა „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარემ მ. ქარდავამ წარმოადგინა, პროექტი საკრებულოს წევრების მხრიდან ერთხმად იქნა მიღებული.

მეორე საკითხად მიღებულ იქნა განკარგულება „ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ".

მესამე საკითხად გამოტანილი განკარგულების პროექტით 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს საკრებულოსგან თანხმობა მიეცა. სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს 2014 წლის სამუშაო გეგმაც, ხოლო მეხუთე საკითხად განხილული განკარგულების პროექტით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად მარინა რუხაძის ნაცვლად კომისიის წევრად შეყვანილ იქნა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი შოთა სირაძე.

ამ საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ახალი კადრები

„შეიძულეთ ცოდვა და არა ადამიანი"...

ინტერვიუ მახარე ჩოკოლაიასთან 4 გვ.

გაზაფხულამდე არც ისე შორია...

მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტის შესახებ

ედიშერ ჯოგავა 3 გვ.

„ხობის მონასტერი და მისი შემოგარენი ბევრ საიდუმლოს ინახავს..."

გოგიტა ჩიტაია 4 გვ.

ამბიცია

ქალი პოლიტიკაში აუცილებელია

ინტერვიუ დოდო გაგუნიასთან 5 გვ.

კენ კიზი

„გუგულის მუდმივ სხვა გადაფრინდა"

ლევან ღვინჯილია 7 გვ.

თვალცრემლიანი ქართული ცეკვა

8 გვ.

ღეი ჯესტი

უწმინდესმა სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას მრევლს დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიის“ მიხედვით შექმნილი ნამუშევრის წარდგენა სთხოვა

„მე გთხოვეთ დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია წაგეკითხათ და ამ განწყობის თეორია შრომასთან მიმართებაში დაგეწერათ. ადამიანი, როცა საქმეს იწყებს, აუცილებელია ამ საქმის მიმართ განეწყოს. ჩვენ ცოტა შორს ვართ შრომისგან. ამიტომ ალბათ, მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამას. განწყობის თეორია ანალიტიკურ აზროვნებაში უნდა მონაწილეობდეს. უნდა ვიფიქროთ, არამარტო ის როგორ უნდა დავიწყოთ საქმე, არამედ ანალიტიკურად უნდა წარმოვიდგიონოთ და შევაფასოთ ამ საქმის შედეგი. დასკვნას უნდა ვხედავდეთ და ყველაფერი კარგად იქნება“, – ბრძანა უწმინდესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიის“ წაკითხვა წინა კვირას სთხოვა. მათ უზნაძის თეორიის მიხედვით უნდა დაეწერათ თემა „განწყობა შრომისთვის“. მრევლმა უწმიდესის დავალება არ შეასრულა, რასთან დაკავშირებითაც უწმინდესმა ბრძანა, რომ „ქართველი ხალხი შორსაა შრომისგან“.

როგორც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა განაცხადა, პრემიერ-მინისტრი მიუნხენის კონფერენციას ძალიან წარეკაგებულად დაესწრო

„თებერვალი საქართველოსთვის ძალიან კარგად დაიწყო. საქართველოს პრემიერმა მიუნხენის კონფერენციაზე კვლავ განაცხადა ევროპასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების სურვილის შესახებ და საპასუხოდ მიიღო ერთგულება, მხარი დაუჭირონ პარტნიორებმა საქართველოს ამ მისწრაფებას“,–განაცხადა ნორლანდმა. მან ასევე, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამის შემდეგ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ევროკავშირთან უფრო გაღრმავდება.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა „პირველ პრესკლუბში“ მიუნხენის კონფერენციაზე პრემიერ-მინისტრის გამოსვლა შეაფასა და აღნიშნა, რომ ღარიბაშვილმა როგორც მიღწევებზე, ისე პრობლემებზეც ისაუბრა

„მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე საქართველოს პრემიერის გამოსვლა ძალიან წარმატებული იყო. მოგეხსენებათ, ეს იყო პირველი სერიოზული საერთაშორისო ვიზიტი და აქედან გამომდინარე, მის მიმართ ყურადღება იყო გამძაფრებული. თუ დავუმატებთ იმ გარემობასაც, რომ ეს უმნიშვნელოვანესი კონფერენცია ჩატარდა უკრაინაში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ, ინტერესი მის მიმართ იყო გაორმაგებული. როგორც მე დავაკვირდი, ირაკლი შეეცადა წარმოეჩინა საქართველოს როგორც მიღწევები, ისე პრობლემები. ეს არ იყო ერთი მიმართულებით ევროპული საზოგადოების ინფორმირება. საუბარი იყო წარმატებებზეც და პრობლემებზეც. შესაბამისად, ის შეეცადა ელაპარაკა ის, რასაც ლაპარაკობენ ქართველი პოლიტიკოსები საქართველოში. წინა რეჟიმების დროს ჩვენ მიჩვეულები ვიყავით, რომ ერთს ვლაპარაკობდით საზღვრებს გარეთ, მეორეს–საზღვრებს შიგნით. მე მივესალმები იმ პოლიტიკას, როცა სახელმწიფო თანამდებობის პირები იმასვე ილაპარაკებენ მინხენში, ჟენევაში, პარიზსა თუ ლონდონში, რასაც ლაპარაკობენ თბილისში, თელავში ან ქუთაისში. ეს უფრო სწორია, ვიდრე ის, რომ ცალკე ტექსტი გქონდეს ევროპელებისთვის თავის მოსაწონებლად, ცალკე–ქართველებისთვის”, –განაცხადა ქუცნაშვილმა. მისივე თქმით, პრემიერ-მინისტრი გამოსვლაში შეეხო ისეთ მნიშვნელოვან და მწავავე საკითხებს, როგორიც ოკუპაციაა და აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობები.

ხობის მუნიციპალიტეტში მეუფე გრიგოლმა უკრაინელი ხალხი კოლხეთის ღვთისმშობელს შეავედრა

24 იანვარს ქ. ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობა გრიგოლმა, ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად, სავედრებელ-სადიდებელი პარაკლისი აღავლინა და კოლხეთის ღვთისმშობელს შეავედრა უკრაინელი ხალხი და სრულიად საქრისტიანო.

პარაკლისი ქართველი ხალხის თანადგომისა და მხარდაჭერის გამოხატულებაა თავისუფლების მოყვარე უკრაინელი ხალხისადმი.

პარაკლისს მრევლთან ერთად სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე დავით სარსანია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა და გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

საჩუქარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მ. ქარდავამ სოფელ პირველ ხორგაში სოციალურად დაუცველი ოჯახიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თენგიზ ჩარგაზიას საჩუქრად ინვალიდის ეტლი გადასცა. საკრებულოს თავმჯდომარე ადგილზე გაეცნო ოჯახში არსებულ პრობლემებს და მომავალშიც თანადგომა და დახმარება აღუთქვა მათ.

ნინოობასთან დაკავშირებით ჭალადიდის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში...



წმინდა ნინოს დღესასწაულთან დაკავშირებით, ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის თემში წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვის შემდეგ, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა სამღვდელოებასთან ერთად საზეიმო პარაკლისი გადაიხადა და მრევლს ნინოობის დღესასწაული მიულოცა.

წმინდა ნინო წარმოშობით კაბადოკიის ქალაქ კოლასედან იყო. ქალწული დიდმოწამე გიორგის ახლო ნათესავად ეკუთვნოდა. იგი რომის მხედართმთავრის ზაბულონის და იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის დის, სოსანას ერთადერთი ასული იყო. როდესაც ნინოს თორმეტი წელი შეუსრულდა, მშობლებმა ყველაფერი გაყიდეს და იერუსალიმში გადასახლდნენ. ნინოს მამა ბოლოს ბერად აღკვეცილა, დედა კი გლახაკთა სამზრუნველოს მსახური გამხდარა. ნინო კი აღსაზრდელად მოხუც ქალს – სარა ნიაფორს მისცეს. იგი ქრისტიანულად ზრდიდა ნინოს, უამბობდა მაცხოვრის მიწიერი ცხოვრებისა და წამების ამბავს. სარასაგან გაიგო ნინომ ისიც, თუ როგორ მოხვდა ქრისტეს კვართი წარმართთა ქვეყანაში –საქართველოში. ამ დღიდან ნინო გულმხურვალედ ევედრებოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და იმ პერანგის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა, რომელიც მაცხოვარს თავად ღვთისმშობელმა მოუქსოვა.

ყოვლადწმიდა ქალწულმა შეისმინა ნინოს ვედრება, სიზმარში გამოეცხადა და უთხრა: „წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე იქ სახარება უფლისა იესო ქრისტესი, მოიპოვებ მისგან მადლს და მე შენი მფარველი ვიქნები“. მოციქულთა სწორი ქალწული ნინო საქართველოში, დაახლოებით 323 წელს ჯავახეთის მთებით შემოვიდა. მას ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ვაზის ჯვარი ეპყრა ხელში.

წმინდა ნინო ფარავნის ტბასთან ორი დღე შეჩერდა და მეთევზურთაგან მირთმეული საკვებით ძალა მოიკრიბა. დასასვენებლად მიწაზე მიწოლილს ძილში ბრწყინვალე კაცი ეჩვენა, რომელმაც დაბეჭდილი წერილი მისცა და უთხრა, რომ წერილი წარმართთა მეფისთვის მიერთმია, რადგანაც ამისთვის იყო მოვლენილი. წერილის თავში რომაულად იესოს სახელი ეწერა და, როგორც მოსეს ქვის ფიცრებზე, ათი სიტყვა იყო დაწერილი.

ქართველთა განმანათლებლისა და მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს ქადაგებით, საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წელს გამოცხადდა. ამ დროს სამეფო ტახტი მეფე მირიანსა და დედოფალ ნანას ეპყრათ.

წმინდა ნინოს ხსენებას საქართველოს ეკლესია წელიწადში ორჯერ დღესასწაულობს: 1 (19) ივნისს მისი საქართველოში შემოსვლა აღინიშნება, ხოლო 27 (14) იანვარს–გარდაცვალება.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა გილოცავთ ნინოობის დღესასწაულს.

გაზაფხულამდე არც ისე შორია...

მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტის შესახებ

მოგესალმებით და მივესალმები ჩვენი რაიონის მოსახლეობას. გეტყვით, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო თებერვლიდან იწყებს „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტს", ეს პროექტი ქვემო ქართლის რეგიონიდან იწყება და ეტაპობრივად სხვა რეგიონებსაც შეეხება. როგორც ცნობილია, ეს მასშტაბური პროექტია და მისი ბიუჯეტი ქვეყნის მასშტაბით 90 მილიონ ლარამდე იქნება, მას სახელმწიფო ბიუჯეტი და ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დააფინანსებს, პროექტის განმხორციელებელი კი ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო იქნება. ქვეყნის მაშტაბით პროექტი დასრულდება აგვისტოში. ამ პროექტის მიზანი მცირემიწიან ფერმერთა მაქსიმალური ხელშეწყობაა და სახელმწიფო ფერმერებს ხვნის პროცესში დაეხმარება, რაც მოგეხსენებათ ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ახლა კი დეტალურად მინდა მოგახსენოთ უშუალოდ პროექტის და კატეგორიების შესახებ, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ჩვენს მოსახლეობას და იმ ბენეფიციარებს, რომელთაც ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0.25 დან 1.25 მიწის ნაკვეთი. შეგახსენებთ, რომ ფერმერები დაიყოფიან ორ კატეგორიად 1) რომელთაც გააჩნიათ 0.25 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი. 2) ვისაც გააჩნია 0.25 დან 1.25 ჰა ჩათვლით ფართობის მიწის ნაკვეთი. ამ მაჩვენებლებით ადგილობრივი ფერმერები მიიღებენ ფართობის მიხედვით სარგებელს. აქვე უნდა ითქვას იმ სიახლის შესახებ. რომლითაც ფერმერები ისარგებლებენ სბანკო პლასტიკური ბარათით ე.წ. „აგრობარათით", ანუ ნიადაგის ხვნის სამუშაოებისათვის დარიგდება სასოფლო-სამეურნეო ბარათი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საქონლის მისაღებად კი „აგრობარათი".

„აგრობარათი" ფერმერს ურთიერთობას გაუმარტივებს სასოფლო–სამეურნეო საქონლის მიმწოდებელთან; მას შესაძლებლობა ექნება სასურველი პროდუქტი მიიღოს ნაწილ–ნაწილ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მომწოდებლისგან, რომელიც მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ ნედლეულის შესაძენად გაცემული დახმარების ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით 800 000-მდე ფერმერი ლიბერთი ბანკის მეშვეობით მიიღებს.

პროექტისთვის დამზადებულ „აგრო ბარათზე" დარიცხული ქულებით იქნება შესაძლებელი ნედლეულის მიღება, ფერმერები ბარათს უსასყიდლოდ მიიღებენ.

ყველაზე მნიშვნელოვანია სიების დაზუსტება , ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულების მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით 1.25 ჰა მდე მიწის მფლობელმა ფერმერმა რომ მიიღოს სარგებელი, მოხდა სიის კორექტირება, კერძოდ, ჩვენი რაიონის 571 ბენეფიციარი დაემატა შარშანდელ სიას , ეს ის კატეგორიაა, ვინც შარშან ვერ მიიღო ამ პროგრამით გათვალისწინებული სარგებელი . 2013 წელს, იმის გამო რომ მოსახლეობის უმრავლესობას საჯარო რეესტრში არა აქვს დარეგისტრირებული კერძო საკუთრებაში არსებული მიწები, სიების შედგენის დროს დაშვებული იქნა მთელი რიგი ტექნიკური შეცდომები. შესაბამისად სასოფლო სამეურნეო ბარათების დაბეჭვდვა და მოსახლეობაზე გადაცემა მოხდა აგროტექნიკის ვადებთან შედარებით ცოტათი გვიან (15 მარტი). თუმცა მიუხედავად ამისა 12 441 ბენეფიციარმა ნახა სარგებელი. დამატებითი ტექნიკის არსებობა წელს მცირედ ხარვეზსაც აღმოფხვრის, რადგანაც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ყველა ამ საკითხზე იზრუნა. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოებს, რომელიც ნიადაგის ხვნას და სასოფლო–სამეურნეო ტექნიკით მომსახურებას გულისხმობს, შპს „მექანიზატორი" და 117 კონტრაქტორი შეასრულებს.

27 იანვრიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭების პროცესი იწყება. სააგენტო, რომელიც შექმნილია სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ამ მიმართულებით იმუშავებს, რაც იმას ნიშნავს რომ ყველა ის ფერმერი რომელსაც 1.25 ჰა მიწის ფართობზე მეტი აქვს, მას ექმნება შესაძლებლობა იყოს კოოპერატივის წევრი და სხვადასხვა პროგრამებში მიიღოს მონაწილეობა, ამ საკითხთან დაკავშირებით შეუძლია ჩვენი რაიონის მოსახლეობას დეტალური ინფორმაცია მიიღოს ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურისგან.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გითხრათ რომ ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებთან ერთად ვასრულებთ მონაცემთა ბაზის შექმნას (უფრო ზუსტად დასრულებულია მაგრამ კომპიუტერული დამუშავება მიმდინარეობს), რომელიც საშუალებას მოგვცემს საჭიროებისამებრ დაინტერესებულ მეწარმეებსა თუ ბიზნესმენებს წარმოდგენა შევუქმნათ ჩვენი რაიონის შესახებ, პოტენციალი კი დიდია, გარემო პირობები, არამონოპოლისტური ბიზნესგარემო, ცენტრალური, სამხარეო და აგილობრივი ხელისუფლების მზაობა არის რომ მეტი სარგებელი ნახოს მოსახლეობამ, საქმიანმა ადამიანებმა თუ დაინტერესებულმა ინვესტორებმა თვითონ განსაზღვრონ პრიორიტეტული მიმართულებები, ასე რომ საქმიანი, მოტივირებული ადამიანების მხარდაჭერა გარანტირებულია.

ედიშერ ჯობავა,
ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე.

ინტერვიუ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიუნხენში ვიზიტისას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ რუსეთთან ურთიერთობების დათბობა არანაირი დათმობის ხარჯზე არ მოხდება

„ამ ორი დღის განმავლობაში გამოკვეთილად მხარდამჭერი პოზიცია აქვს ზოგადად, მთლიანად ევროკავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, არაერთი კონსტრუქციული ნაბიჯი გადავდგით რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მიზნით, ჩვენ დავნიშნეთ პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი. კონსტრუქციული ნაბიჯების შედეგია ისიც, რომ რუსეთმა ეტაპობრივად გახსნა თავისი ბაზარი და საქართველოს შეუძლია და შეძლო უკვე ქართული პროდუქციის გატანა რუსეთის ბაზარზე, თუმცა რა თქმა უნდა, მე ამას ყოველთვის აღვნიშნავ და მინდა, გავიმეორო, რომ ჩვენთვის მართლაც მიუღებელია ის პროვოკაციული ქმედებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა და აქვს ჯერ კიდევ საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე ტერიტორიებზე, მე ვგულისხმობ იმ ბორდერიზაციის პროცესს, რომელიც მოახდინა რუსეთმა გასულ წელს, ასევე ბოლო ორი კვირის წინ თქვენ ნახეთ, რომ დაახლოებით 11 კილომეტრით გადმოიწია საზღვარმა და ჩვენ ტერიტორიაზე შემოიჭრა, თუმცა მათ აღნიშნეს, რომ ეს არის დროებითი მოვლენა, სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული, მაგრამ საბოლოო ჯამში ის არის, რომ ჩვენ ჩვენს პოზიციას ყოველთვის მკვეთრად ვაფიქსირებთ, ჩვენ ვართ ძალიან პრინციპულები ამ საკითხთან მიმართებაში და ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ უნდა მოხდეს ჩვენი კონფლიქტური ტერიტორიების და ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და ამ პრობლემის მოგვარება პოლიტიკური დიალოგის მეშვეობით",–განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მემორანდუმი პრობაციონერთა რესოციალიზაციის ხელშეწყობის თაობაზე პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, ორგანიზაცია „ჰილფსვერკ ავსტრიასა" და იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობას" შორის გაფორმდა

დოკუმენტი, რომელსაც გიორგი არსოშვილმა, **HWA**-ს რეგიონულმა მენეჯერმა ნიკოლ მარია ბაუერმა და იულია ხარაშვილმა მოაწერეს ხელი, შიდა ქართლის პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე მყოფ პირობით მსჯავრდებულთა ფსიქო-სარებილიტაციო ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარებას ითვალისწინებს, აგრეთვე, მათი დასაქმებისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის ხელშეწყობას. მემორანდუმის თანახმად, ორი წლის განმავლობაში 160 პრობაციონერი პროფესიულ გადამზადებას გაივლის (ლითონის და ხის დამუშავება, ბიზნესმენეჯმენტი). გარდა პრობაციონერებისა, პროექტში 40 მოხალისე-მენტორი ჩაერთვება. გადამზადების პროცესში გათვალისწინებულია პირობით მსჯავრდებულთა კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯები. მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, ხელმომწერმა მხარეებმა გორში განსახორციელებელი პროექტის საორგანიზაციო საკითხები განიხილეს. პრობაციის ეროვნული სააგენტო, პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროექტების მხარდაჭერის მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო, არასამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციასთან.

ახალი კადრები

რუბრიკა „ახალი კადრები" ყველავაც აგრძელებს გაცნობით ხასიათს, ამჯერად მინდა წარმოგიდგინოთ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ბატონი მახარე ჩოკორაია. ის უკვე წელიწადზე მეტია რაც ამ თანამდებობაზე დაინიშნა. თუ რომელ დარგებს კურირებს ის, სად ხედავს პრობლემებს, რა მიზნები და სამომავლო გეგმები აქვს ჩვენთან ინტერვიუში შეიტყობთ.

„შეიძულეთ ცოდვა და არა ადამიანი"...

ბატონო მახარე, წელიწადია უკვე რაც ამ თანამდებობაზე დაინიშნეთ, ადაპტაციის პერიოდმა ვფიქრობ ჩაიარა.რას გვეტყოდით თქვენს სამსახურზე,რომელ დარგებს კურირებთ?

–უპირველესად მოგესალმებით და შობა-ახალ წელს მოგილოცავთ თქვენ და თქვენს მკითხველს, სიყვარულის და მიზნების განხორციელების წელი ყოფილიყოს! წელიწადზე მეტია დავინიშნე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ, ჩემი საკურატორო მიმართულებაა– გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დევნილთა, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

ყველაზე მეტ პრობლემას სად აწყდებით?

–ყველაზე დიდ პრობლემად კვლავ რჩება ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და არასახარბიელო სოციალური ფონი. პრობლემებზე მეტად ქვეყნის ტკივილი და ტრაგედიაა, ქართველი კაცი, უცხო ქვეყანაში რომ ეძებს სამუშაოს. ტკივილია, ტრაგედიაა, ამდენი სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული ადამიანი ჩვენს გვერდით. მართალია, გასულ წელთან შედარებით უკეთესი პირობებია, შეგვიძლია, უფრო მეტ ადამიანს დავუდგეთ მხარში, მაგრამ ეს, არც თავმოსაწონია და არც თავის საქებარი; ეს ხელისუფლების მოვალეობაა, უბრალოდ ადამიანურად გიხარია შენს თანამოძმეს გაჭირვების ჟამს, რომ შეეხიდები და ჩვენც, შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ჩვენს თანამოქალაქეებს ზურგი არ შევაქციოთ.

გაქვთ თუ არა თქვენი სამუშაო პროგრამა და რაში მდგომარეობს ის?

–სამუშაო პროგრამაც, ძირითადად გათვლილია და ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების, მრავალშვილიან დედათა და ახალშობილთა, ობოლთა, ომის ვეტერანთა და დევნილთა, ხანძრით, სტიქიით და მეწყერით დაზარალებული ოჯახების, აგრეთვე ავადმყოფების (რომელთაც ესაჭიროებათ ოპერაცია, მაგრამ არ ფინანსდებიან საყოველთაო დაზღვევით) დახმარებას.

ბატონო მახარე ვინაიდან სოცალურად დაუცველ ადამიანზე „მზრუნველობა" თქვენს კომპეტენციაში შედის, მიდა ჩაგეკითხოთ რა სახის დახმარებას უწევს მუნიციპალიტეტის გამგეობა ამ ხალხს და რას პირდებით მათ სამომავლოდ?

–ძირითადად საუბარია, რა თქმა უნდა ერთჯერად ფულად დახმარებაზე. ბიუჯეტში განსაზღვრულია თანხა სოციალურად დაუცველ ფენათა სხვადასხვა კატეგორიებისთვის. ამის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა თქვენივე გაზეთის ფურცლებზე. წლევანდელი ბიუჯეტი, უფრო მეტად გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩვენს თანამოქალაქეებს ხელი გავუწოდოთ და მძიმე სოციალური მდგომარეობა შევუმსუბუქოთ.

საკრებულოს სხდომათა დარბაზში მუნიპალიტეტის ხელმძღვანელობა საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" წარმომადგენლებს შეხვდით.საუბარი ძირითადად კლუბში არსებულ პრობლემებს შეეხებოდა. კერძოდ, რა პრობლემებია დღეისობით კლუბში და როგორ აპირებთ ამ პრობლემების მოგვარებას?

–შეხვედრაზე, საუბარი იყო კლუბის ბიუჯეტზე, ახალი სეზონისთვის ფეხბურთელების მომზადებაზე და მომავალ სამოქმედო გეგმაზე. გუნდის მწვრთნელებმა, ფეხბურთელებმა ყურადღება გაამახვილეს არსებულ საკადრო პრობლემებზე და არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობზე. მიუხედავად პრობლემებისა, ერთად დგომით და მონდომებით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და გულშემატკივარს ვპირდები, რომ აუცილებლად გავაძლიერებთ გუნდის სუსტ რგოლებს და მიზნებიც ადექვატურად მაღალი გვექნება.

როგორც ჩვენთვის ცნობილია თქვენ საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდით უკრაინაში, ამასთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?

–ჩვენი ვიზიტის შედეგად, 20 დეკემბერს, უკრაინის ხმელნიცკის ოლქის ქალაქ სტაროკოსტინანტინოვოს მერმა მიკოლა მელნიჩუკმა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ქარდავამ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანიც იქნება ეკონომიკისა და მართვის კუთხით ურთიერთ გამოცდილების გაზიარება, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის ჩამოყალიბება და ურთიერთობის გაღრმავება განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სფეროში.

განვლილ მოვლენებს თუ გადავხედავთ ერთი რამის თქმა უდაოდ შეიძლია, როცა ხობში ბიძინა ივანიშვილის და პარტია „ქართული ოცნების" მხარდამჭერთა შტაბი შეიქმნა თქვენ, მიუხედავად ყველაფრისა, მათ გვერდზე დგომა გადაწყვიტეთ რატომ? და რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში პირველი ოქტომბრის შემდეგ?

–ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის პოლიტიკაში მოსვლით, გაჩნდა იმედი, რომ ქვეყანაში გამეფებულ კრიზისს ყველა მიმართულებით, უსამართლობას, უზნეობას წერტილი დაესმებოდა. ჩემი და ჩემი მეგობრების მიზანიც, მათი გვერდით დგომით, სწორედ, რომ იყო და არის ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის ბრძოლა. ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ „ქართული ოცნების" პირველი შტაბი, მიუხედავად ზეწოლისა და მუქარებისა, სწორედ ჩვენს ქალაქში გაიხსნა 2012 წლის 5 მარტს. ახლა, რომ ვუფიქრდები ჩვენი მაშინდელი ნაბიჯი ძალიან სარისკო იყო და საშიშიც, მაგრამ დღეს სიამაყის გრძნობა გვეუფლება მოკრძალებული წვლილისათვის ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის.პირველი ოქტომბერი, კი ალბათ დიდხანს იქნება განსჯის საკითხი, ისტორიაშიც თავისი უნიკალურობით შევა, ალბათ, მსოფლიოში არ მოიძებნება ქვეყანა, რომელსაც ორშაბათს ჰქონდეს არჩევნები ჩატარებული და თან ოპოზიციონერი ლიდერის ანგელოზის დღეს. შემთხვევით ხომ არაფერი ხდება და მისმა უდიდებულესობა ქართველმა ხალხმაც თავისი მადლიერება უდიდესი მეცენატის მიმართ საარჩევნო ხმით გამოხატა.

ბატონო მახარე, რას ვერ პატიობთ ხოლმე ადამიანებს?

–მიუხედავად იმისა, რომ ჩემს საკუთარ ქალაქში ბევრჯერ უსამართლობა ვიწვნიე, ვერ ვიტყვი; - ვერ გაპატიე - მეთქი! არ არსებობს მიუტევებელი შეცდომა. უფალმა იესო ქრისტემ, ჩვენ მისი უარყოფა და ჯვარცმა გვაპატია. ქრისტიანობის არსი ხომ, სწორედ მიტევება და სიყვარულია. მოვიშველიებ წმინდა მამათა გამონათქვამს: „არ არსებობს ცუდი ადამიანი", „შეიძულეთ ცოდვა და არა ადამიანი". ვცდილობ და ალბათ გამომდის ამ პრინციპით ვიხელმძღვანელო ჩემი ცხოვრების გზაზე.

რას გვეტყოდით გაზეთ „ხობის მოამბეზე", როგორია ის დღეს და როგორი გინდა იყოს ის მომავალში.არ გეკითხებით როგორც თანამდებობის პირს, არამედ როგორც ერთ-ერთ რიგით ხობელს.

–მიხარია, რომ არსებობს გაზეთი „ხობის მოამბე", რადგანაც, როდესაც თვით ცხოვრება იქცა პრობლემად, გაზეთი - საერთოდ საგამომცემლო საქმიანობა უამრავ წინააღმდეგობას აწყდება, მითუმეტეს ჩვენისთანა პატარა მუნიციპალიტეტში. თქვენი დამსახურებით „ხობის მოამბე" ცოცხალია და ხელისუფლებასა და ხალხს შორის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი რგოლია, ე.წ „მეოთხე ხელისუფლება", რაც საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. გისურვებთ თქვენი გაზეთის მთავარი ორიენტირი მუდამ ობიექტურობა ყოფილიყოს. იყავით წარმატებული და არ მოგაკლდეთ მკითხველი.

ესაუბრა
ნინო გერგაია

ახალი აღმოჩენები ხობის მონასტერში

„ხობის მონასტერი და მისი შემოგარენი ბევრ საიდუმლოს ინახავს..."

ხობის მუნიციპალიტეტის ძალისხმევითა და ინიციატივით 2013 წლის დეკემბერში ხობის მონასტრის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა. სამუშაოების მიზანი, ჯერ კიდევ 2012 წლის დეკემბერში შენიშნული, მონასტრის ჩრდილოეთი კედლის პარალელურად გამოვლენილი საძირკვლის ნაშთის რაობის განსაზღვრა იყო. ეკლესიის ეზოში რამდენიმე საცდელი-საკონტროლო თხრილის გავლებაც გადაწყდა, აქ არსებული სავარაუდო ნაგებობების გამოსავლენად. კომპლექსის დომინანტი ბაზილიკური, დარბაზული ტიპის ტაძარია. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ დღევანდელი სახით წარმოდგენილ ტაძარს ბევრჯერ შეუცვლია არქიტექტურული იერსახე. ნათლად ფიქსირდება გაფართოებისა და მიშენებების კვალი. სულ ბოლოს, სამხრეთის გალერეა და ვამეყ დადიანის ეკვდერი მიუშენებიათ, რომელშიც ჩატანებულია მის მიერვე ჯიქეთიდან ჩამოტანილი „სვეტნი და ფიქალნი მარმარილოსანი" და სავარაუდოდ, როდესღაც, რომელიღაც უცნობი ტაძრის მდიდრულად მოჩუქურთმებული შირიმის ქვისაგან დამზადებული კარნიზები და ბლოკები. საყოველთაოდ ცნობილია და ორიგინალური არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ ხობის მონასტერი უფრო იმ სიწმინდეებით იყო განთქმული, რომელსაც ის საუკუნეების განმავლობაში ინახავდა – ღვთისმშობლის კვართი, დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი და სხვ. ამავე დროს, ის დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო რეზიდენციას და რელიგიურ და საგანმანათლებლო ცენტრსაც წარმოადგენდა.

იბადება კითხვა–რამ განაპირობა ტაძარში ესოდენ მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი სიწმინდეების თავმოყრა? რომელი გარემოებების გამო იქცა ის საკათალიკოსო რეზიდენციად? როგორც ვხედავთ, დღევანდელი სახით წარმოდგენილი ტაძარი არც ნეკრესის და ჯვრის ეკლესიებივით ძველია, არც ალავერდივით მონუმენტური, არც ნიკორწმინდასავით დახვეწილი და როგორც ბაგრატი ან სვეტიცხოველი არც საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, რატომ მაინცა და მაინც აქ? საიდან ასეთი პოპულარობა? კითხვები ვფიქრობთ ლოგიკურია და ახსნას საჭიროებს.

ტაძრის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: ექვ. თაყაიშვილი თვლიდა, რომ ტაძარი X-XI საუკუნეებშია აშენებული, ვ. ბერიძე XIII-XIV საუკუნეების მიჯნას ასახელებს, ვ. კონდაკოვი კი მისი აშენების დროდ XI საუკუნეს მიიჩნევს.

ლეგენდებისა და ხალხში გავრცელებული თქმულებების მიხედვით ტაძრის აშენება ჰერაკლე კეისარს (VII საუკუნის I ნახევარი) უკავშირდება, ზოგიერთი გადმოცემით ის გუბაზ მეფის მკვლელობის ადგილზე აუგიათ. მის აშენებას დავით აღმაშენებელს და ცოტნე დადიანსაც უკავშირებენ. უკანასკნელ ხანს, 2009 და 2010 წლებში ჩატარებულმა მცირემასშტაბიანმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ნაწილობრივ მაინც გამოკვეთა ზოგიერთი დეტალი: აღმოჩენილიქნა ძვ. წ. აღ.-ით VIII-VII საუკუნეების ძველ კოლხური ნამოსახლარები, ძველ დადიანთა საძვალე, სადაც ცოტნე დადიანიც უნდა ვიგულისხმოთ. გასული წლის მიწურულს დადასტურდა, რომ ხობის ტაძარი გაცილებით დიდ ნატაძრალზე დგას, კედლები გამოვლინდა ტაძრის ჩრდილოეთით, აქვე აღმოჩნდა X–XI საუკუნეების მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები. მასშტაბური ნაგებობები ჩანს გალავნის გარეთ ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით, აქამდე უცნობი ნაგებობათა ნაშთები გამოვლინდა გალავნის შიგნით ტაძრის სამხრეთითა და აღმოსავლეთით, დაფიქსირდა აგრეთვე ადრექრისტიანული ხანის აგურებისა და კრამიტების ფრაგმენტები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სასახლის დასავლეთით გამოვლენილი ნაგებობათა ნაშთები, აქ ორ კულტურულ ფენასთან გვაქვს საქმე, ზედა ნაგებობა სავარაუდოდ X–XI საუკუნეებისა უნდა იყოს, ხოლო ქვედა ადრექრისტიანული ხანის აგურებით არის აშენებული, რაც ადასტურებს რომ IV-VII საუკუნეებში აქ ნაგებობა მდგარა, თუმცა ჯერ-ჯერობით ამ ნაგებობათა დანიშნულების შესახებ დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია, საჭიროა ბოლომდე გაითხაროს და შესწავლილ იქნეს არქეოლოგიური ობიექტი. მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოებისას ერთი საინტერესო მომენტიც გამოიკვეთა, დღევანდელი გალავნის გარეთ უფრო ძველი გალავნის ნაშთები იკვეთება, რომელიც სავარაუდოდ მონასტრის ბორცვის რელიეფს მიუყვებოდა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ხობის ტაძრიდან სამხრეთით 350 და 400 მეტრის დაშორებით ადრექრისტიანული ხანის ნაეკლესიარები ფიქსირდება, ეს ყველაფერი ერთობლიობაში გვაფიქრებინებს, რომ ეგრისის სამეფოს პერიოდში აქ შესაძლოა საკმაოდ დიდი ციხე-ქალაქი ყოფილიყო.

ამრიგად, ხობის მონასტერი და მისი შემოგარენი ბევრ საიდუმლოს ინახავს, რომელსაც გამოვლენა და შესწავლა სჭირდება. ამ აღმოჩენების ფონზეც უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხობის შესანიშნავი ტაძარი არათუ XIII საუკუნეში, არამედ გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ეგრის-ლაზიკის სამეფოს პერიოდში მნიშვნელოვან კულტურულ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა.

გოგიტა ჩიტაია,

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ძეგლთა დაცვის საკითხებში

ა მ ბ ი ც ი ა

ჩვილის სახელის დარქმევა რა არის და ისიც კი თავსატეხს უჩენს ხოლმე მშობლებსა და ახლობლებს. ახლა ახალი რუბრიკის ,,ნათლოება“ ვთქვათ, რომელსაც უამრავი მკითხველი ჰყავს და ცალკე კიდევ ქურნალისტები. მინდოდა ახალ რუბრიკას ჰქონოდა ამბიციური სახელი, რომელიც დააინტერესებდა მკითხველს, თანაც იქნებოდა აქტუალურ თემებზე გათვლილი. ჰოდა, ერქვას ამ რუბრიკას ,,ამბიცია“ რადგან იგი ზედგამოჭრილია იმ საკითხებისათვის, რომელიც აქ უნდა აისახოს.

რატომ?

იმიტომ, რომ ქართულ საზოგადოებას ცნობიერების შეცვლა სჭირდება, დადგა დრო, საზოგადოებამ ქალი სხვა რაკურსითაც აღიქვას. ქვეყნის მართვაში ქალის იდეების დეფიციტი იგრძნობა, ერთი სქესი ვერაფერში მიაღწევს სრულყოფილებას, მით უმეტეს პოლიტიკაში. სტატისტიკის მიხედვით საქართველო 120-ე ადგილზეა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის მდგომარეობით. გეზი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისაკენ, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ აიღო, წარმოუდგენელია მამაკაცების გვერდით ქალთა თანაბარი მონაწილეობის გარეშე საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობის ყველა სფეროში. ამიტომაც ქალები მზად უნდა იყვნენ, რომ ისევე გამოვიდნენ პოლიტიკურ არენაზე, როგორც კაცები, მაგრამ აუცილებლად მზად უნდა იყვნენ უამრავი დისკრიმინაციული ნაბიჯების გადასალახავად, რა თქმა უნდა დისკრიმინაცია არ იქნება ღია.

სწორედ ამიტომ გვინდა ქალბატონების გააქტიურება, რათა მათ გაუჩნდეთ ჯანსაღი ამბიცია, მამაკაცებთან ერთად მართონ ქვეყანა. ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესაცვლელად არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ჯერი აქტიურ, ღირსეულ ქალბატონებზეა.

ქალბატონებო! სძლიეთ სტერეოტიპებს, მიეცით თქვენს თავს საშუალება გამოიყენოთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი, რაციონალურობისა და პრაქტიკულობაზე დაფუძნებული ხედვა, მოახდინეთ თქვენი პიროვნების თვითრეალიზაცია. თქვენ ამის უნარი გაგაჩნიათ. როდესაც თქვენ გაიაზრებთ საქვეყნო ტვირთს და პასუხისმგებლობას, იღწვით არა საკუთარი თავისთვის, არამედ იმისთვის, რომ ქვეყანა უფრო დაუახლოვდეს ევროკავშირს, რომლისკენაც საქართველო ასე მიილტვის.

ასე, რომ თქვენ მოემსახურებით ქვეყანას.

გისურვებთ ჯანსაღ ,,ამბიციურობას“!.

ჩვენი რუბრიკის პირველი სტუმარია ქალბატონი **დოდო გაბუნია**.

ქალი პოლიტიკაში აუცილებელია

ცოტა რამ თქვენზე.

–დავიბადე ქ. სენაკში 1945 წელს. დედა პროფესიით პედაგოგი იყო. მამა–ეკონომისტი. წარჩინებით დავამთავრე ქ. სენაკის №5 საშუალო სკოლა. ბავშვობაში იურისტობა მინდოდა, თუმცა, ექიმობაზედაც ვფიქრობდი. ცხოვრებაში პირველი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას მშობლების რჩევას და აზრს მივენდე და სწავლა გავაგრძელე ქ. ლენინგრადის (სანქტ-პეტერბურგის) პედიატრიულ სამედიცინო ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დავიწყე ენგურჰესის სამედიცინო სანიტარულ ნაწილში ექიმ პედიატრად. 1981 წლიდან ვმუშაობ ქ. ხობის რაიონულ ცენტრალურ საავადმყოფოში. ვარ მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტბიუროს წევრი.

მყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

ექიმობა თქვენი მიზანი, მოწოდება იყო თუ მომავალში „კარგი ცხოვრების“ გარანტი.

–ექიმის პროფესია ყოველთვის ძალიან პოპულარული და განსაკუთრებული იყო, პრესტიჟულადაც ითვლებოდა... შემდეგ დრო შეიცვალა, თუმცა „ფიცის“ ერთგული მაინც დავრჩი. ე.ი. მოწოდებით ექიმი ვიყავი და ვარ. ჩემი სპეციალობა „კარგი ცხოვრების“ გარანტი არც მაშინ იყო და ახლა მითუმეტეს.

თქვენი პროფესია გიყვართ თუ იძულებული ხართ იმუშაოთ?

–ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია. ის ძალიან საინტერესოა, მუდმივად სიახლეების ძიებაში ხარ. ბედნიერი ვარ, როდესაც განსაკუთრებულ პაციენტს ვხედავ, სახეზე ღიმილგადაფენილს. თუმცა საკმაოდ შრომატევადიც არის. ექიმს ფაქტიურად სამუშაო დღის რეჟიმი არ გააჩნია, ნებისმიერ დროს მზად უნდა იყო დახმარების აღმოსაჩენად.

ვინ არის თქვენთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი.

–ჩემთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი იყო და არის მამაჩემი. განგებამ დამაკისრა ვალდებულება ღირსეულად ვატარო გვარიშვილობის პასუხისმგებლობა. დღემდე ვცხოვრობ იმ გენეტიკის წყალობით, რაც მემკვიდრეობით მერგო, რასაც ვამდიდრებ ადამიანებთან ლამაზი, უშუალო და სწორი დამოკიდებულებით.

არის თუ არა საჭირო ჯანდაცვის სისტემაში ცვლილებები, რაში გამოიხატება იგი?

–ჯანდაცვის სისტემაში რეფორმები დიდი ხანია დაწყებულია და დღესაც გრძელდება. ბევრი რამ გაკეთდა ხალხის სასიკეთოდ. ყველამ იცის ჩატარებული რეფორმების შესახებ და მე არ გავმეორდები. ჩემი აზრით საჭიროა საბაზრო ძალების და სახელმწიფო ჩარევების გონივრული დაბალანსება, ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების ინოვაციური ალტერნატივის გამონახვა. საქართველომ აუცილებლად უნდა გაიზიაროს სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების პრაქტიკით დაგროვილი გამოცდილება. შეუძლებელი არაფერია, მითუმეტეს როდესაც ჩვენს სისტემას სათავეში უდგას განათლებული, ერუდირებული და საქმის მცოდნე პიროვნება.

როგორ მოხვედით პოლიტიკაში (მოწოდებით თუ ვინმეს რეკომენდაციით)?

–პოლიტიკაში მოსვლა ჩემი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა, წარმოდგენაშიც არ მქონდა. არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის და რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, რომელთა სამზეოზე გამოტანას არ ვაპირებ, უდიდესი პასუხისმგებლობის შეგრძნების გამო საკუთარი თავის, ოჯახის, შვილების მიმართ და ალბათ ჩემი ხასიათის გამოც (ვერ ვიტან უსამართლობას, არ მიყვარს მდორე ცხოვრება) გავხდი მპგ „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ წევრი.

როგორ ფიქრობთ, ქალბატონები პოლიტიკაში საჭირონი არიან? რატომ?

–იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანთა უმრავლესობას პოლიტიკა „ბინძურ თამაშად“ მიაჩნია და სიბინძურის აღმოფხვრა გარკვეულწილად ქალთან ასოცირდება, ქალი აუცილებელია პოლიტიკაში (ეს ხუმრობით). პიროვნული თვისებები, როგორიცაა დიპლომატიურობა, კონსესუსის შედარებით ადვილად მიღწევის უნარი, ნაკლები აგრესიულობა ოპონენტის მიმართ, სითბო, სიფრთხილე, პატიოსნება არის უპირატესობად მისაჩნევი მამაკაცებთან შედარებით.

ვინ არის თქვენი იდეალი პოლიტიკოსი ქალბატონი?

–ჩემთვის პოლიტიკოსი ქალბატონის აღქმა მარგარეტ ჰილდა ტეტჩერს უკავშირდება. ვფიქრობ ასეთი დონის პოლიტიკოსი ქალბატონები იშვიათად იბადებიან.

საჭიროა თუ არა ქალბატონთა გააქტიურება, პოლიტიკაში მოსასვლელად და როგორ უნდა მოხდეს ეს?

–ქალბატონების პოლიტიკაში მოსასვლელად აუცილებელია მათი გააქტიურება. ქალი ვერ იქნება სრულად რეალიზებული, თუ საოჯახო საქმეებთან ერთად კარიერაზეც არ იზრუნებს. ბოლოს და ბოლოს პოლიტიკაში ყოფნა ფიზიკურ ძალას ხომ არ მოითხოვს, რომ მხოლოდ მამაკაცების საქმედ განიხილებოდეს. ქალების პოლიტიკაში მოსასვლელად უნდა დაიმსხვრეს სტერეოტიპი, რომ პოლიტიკა მხოლოდ კაცების საქმეა. გენდერული კვოტების საკითხს თუ კანონიც დაარეგულირებს, ქალის ჩართულობა პოლიტიკაში ბუნებრივი პროცესი გახდება.

დაამთავრეთ ფრაზა „ქალი უპირველესად არის...“

–„ქალი უპირველესად არის დედა!“

ქალი სარკეში–როგორია „თქვენი“ იდეალური ქალი?

–სადა, ჰაეროვანი, ეტიკეტისა და კორპორატიული ინტერესების შესაბამისად შემოსილი. ქალი უნდა ახერხებდეს ყველა მის მოვალეობას შეუფარდოს საკუთარ თავზე ზრუნვაც.

თქვენი სურვილები?

–მინდა ყველას ყველა სურვილი და ნაზრევი აგისრულდეთ, გიყვარდეთ ერთმანეთი. ცხოვრება საათივით აიწყოთ და რითმულად იცხოვროთ. განსაკუთრებით კი მშვიდობა და თავისუფალ, ბედნიერ საქართველოში ცხოვრება მინდა გისურვოთ. მინდა „გავაზაფხულოთ“.

„გავაზაფხულოთ, რაც იქცა
თოვლად,
შევცვლით ქვეყანას და ისე
მოვალთ“

––აი სურვილი...

თავისუფლებისათვის, სიცოცხლის სიყვარულისათვის და მომავლის რწმენისათვის.

და ბოლოს, ვიცი, რომ თქვენი ახალი რუბრიკის პირველი სტუმარი ვარ, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდიდი. მინდა წარმატებები ვუსურვო თქვენს გაზეთს და მის შემქმნელ კოლექტივს.

მანანა შულაია.

სიახლეების ომოლღინში

ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი თითქმის ექვს ათეულ წელს ითვლის. მისი უპირატესი მიზანი და დანიშნულებაა მასწავლებლის მიერ სისტემური, გააზრებული და მიზანმიმართული მოღვაწეობით ხელი შეუწყოს მოსწავლე-ახალგაზრდობას არასასწავლო დროის ეფექტურად და გონივრულად ორგანიზებაში, სწავლისა და აღზრდის ურღვევი პროცესის სწორად და შედეგიანად წარმართვაში.

ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი სწორედ ამ დანიშნულების აღსასრულებლად იღწვის და საქმიანობს. მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 15 წრე–30 სამეცადინო ჯგუფით.

წრეების ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს მათ ძირითად საქმიანობასთან ერთად კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის საინტერესო, შინაარსიანი და ხალისინი ცხოვრება, დიდად არის დამოკიდებული მათზე. ამიტომაც, ისინი ენერგიულად და ენთუზიაზმით საქმიანობენ.

მეორე წელია, ჩვენი სახლის ისტორიას კიდევ ერთი ლამაზი დღე შეემატა, ვგულისხმობ ქართული ანიმაციის განვითარებაში საკუთარი მოკრძალებული წვლილის შეტანას. ყველაფერი კი ასე დაიწყო–ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, ჩვენს სახლს ეწვია საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა ჯგუფი. პროექტის მსვლელობამ წარმოაჩინა, რომ მისი წარმატება ცალსახა და უდაოა, რამაც გამოიწვია ჩვენი ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა მისდამი. ზაფხულის არდადეგების დროს ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა „მიფასი ვორქშოპი“, სადაც ჩვენი მხატვარი ბავშვების მიერ შექმნილმა ფილმმა როგორც ჩვენი, ასევე დამსწრეთა აღფრთოვანება და მოწონება დაიმსახურა. აღნიშნული წრის წევრები გელა გულუა, დიმიტრი იოსავა, ფრიდონ კვირიკაძე, გიორგი იოსავა, მარიამ მირგატია, ანა მირგატია, ლუკა მირგატია, ნინო ფაჩულია, ბარბარე ლომაია, სალომე ჩაბალუხა, ზურაბ პერტაია, აკაკი ტაბაღუა მიწვეულები იყვნენ ქალაქ ბათუმში ანიმაციური ფილმების მე–4 საერთაშორისო ფესტივალ „თოფუზის“ დასკვნით ღონისძიებაზე. მინდა უდიდესი სიხარული გამოვხატო იმის გამო, რომ ხობელ ბავშვებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ფესტივალის საკონკურსო კატეგორიაში გამარჯვებულ ფილმებსა და მსოფლიოს ხალხთა ზღაპრულ ანიმაციურ სამყაროში ემოგზაურათ. დიდი მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს ასეთი მნიშვნელოვანი პროექტისათვის, რომელიც ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის სრულყოფას ხელს უწყობს.

ასევე, სასწავლო წლის პირველი ნახევარი წარმატებული იყო ქართული ხალხური ცეკვის შემსწავლელთა წრის წევრებისთვისაც (მასწავლებლები: მ. გვასალია, პ. ჭითაშვილი). მოცეკვავეებმა მონაწილეობა მიიღეს 2-8 სექტემბერს თურქეთის რესპუბლიკის ქ. სუზურლუკში ჩატარებულ საერთაშორისო ფესტივალში, სადაც მონაწილეები ფესტივალის ორგანიზატორების მიერ დიპლომებით დაჯილდოვდნენ, ქორეოგრაფი პ. ჭითაშვილი კი დაჯილდოვდა დიპლომითა და სპეციალური პრიზით. ასევე 23 ნოემბერს, ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს ფოლკლორისა და თვითშემოქმედი კოლექტივების ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღეს და დიპლომებით, მედლებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

მოსწავლეთა სახლის მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ მასობრივი ღონისძიებების დაგეგმვა-განვითარებას, რომელიც გამიზნულია მოსწავლეთა თვითშეგნების ამაღლებისკენ. სწავლის სურვილის, კულტურული ჩვევების, მშვენიერების, სიყვარულის, შრომის სიყვარულის აღზრდისაკენ.

ახალი წლიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი რამდენიმე ახალ, საინტერესო პროექტს განახორციელებს. გამოვყოფდი მოსწავლეთა აღზრდას ქართული ყოფისა და ტრადიციების მაგალითზე, ქართული ოჯახი ძველი ტრადიციების შუქზე. უფრო მეტად გავშლით ფოლკლორის მუშაობას: დაგეგმილი გვაქვს სახალისო კონკურსები, ვემზადებით სასწავლო შემოქმედებითი 68-ე კონფერენციის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ამასთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა და ახლო პერიოდში როგორც შემოქმედ მოსწავლეთა საკლუბო მუშაობის ერთ-ერთ სახეს საჭაშნიკო დღეს ჩავატარებთ.

მოსწავლეთა სახლი, სიახლეების მოლოდინში ვართ.

მაკა გულორდავა,

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სპეციალისტი.

რას გვეტყვით თქვენზე?

შემთხვევით წავაწყდი გაზეთ „ხობის მოამბეს" ძველ (2007 წლის იანვარი) ნომერს, სადაც ქალბატონ მერი ლაგვილავას მიერ გაკეთებულმა რუბრიკამ დამაინტერესა. იგი წერს :„ჩვენი გაზეთი ყვლავ დაუბრუნდება სახელოვან ადამიანთა ცხოვრების გაშუქებას, რათა უკეთ გავიგოთ და მომავალ თაობებს არ დავავიწყოთ „ვისი გორისანი ვართ", მაშ გზა გავუხსნათ რუბრიკას „რას გვეტყვით თქვენზე".

ვფიქრობ ამ რუბრიკის დაბრუნება ჩვენს გაზეთში, უფრო საინტერესოს გახდის მას. ვეცდებით წარმოვაჩინოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის წარჩინებული ადამიანების ყველა თაობა და მათი ყოფილი, ამჟამინდელი და მომავალი ცხოვრების გეგმებით ერთგვარი ხიდი გავდოთ წარსულსა და მომავალს, მშობელთა და შვილთა შორის. ვფიქრობ, ეს მცდელობა უკვალოდ არ ჩაივლის და დააინტერესებს ყველა თაობის წარმომადგენლებს.

რუბრიკის „რას გვეტყვით თქვენზე" სტუმარია თამთა ხარამიშვილი.

* * *

2006 წელს დავამთავრე ქ. ხობის ჟიული შარტავას სახელობის №1 საჯარო სკოლა, სკოლაში სწავლის პერიოდში მონაწილეობა მაქვს მიღებული საგანმანათლებლო ტურებში (მათემატიკა, გეოგრაფია, სახვითი ხელოვნება). ძალიან მიყვარდა სპორტი, განსაკუთრებით მა-

სიახლეები ყოველთვის საინტერესოს ხდის ცხოვრებას

გიდის ჩოგბურთი და კალათბურთი.

2006 წელსვე მოვეწყვე ქალაქ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

* * *

სტუდენტობის პერიოდში მონაწილეობა მივიღე თურქეთის ქალაქ ყარსში ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის პროექტის მონაწილე ქვეყნების კულტურული სახის შეჯიბრებებში, სადაც ჩვენმა გუნდმა პირველი ადგილი აიღო.

* * *

2010 წელს მომენიჭა სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომიკის სპეციალობით. პარალელურად დავამთავრე გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში.

* * *

2013 წელს გავხდი ჰამბურგ-ჰ ამბურგის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი, ფაკულტეტზე ლოგისტიკა და მობილურობა, გამოცდების დროს ავიღე მაღალი ქულები და ვსწავლობ უფასოდ.

როგორ მოხდა სპეციალობის არჩევა (სიყვარულით თუ იძულებით)?

–ჩემთვის მნიშვნელოვანია იყო ინოვაციური იდეების მატარებელი, შეგეძლოს ეფექტური გზების გამონახვა, სწრაფი რეაგირება და ანალიზი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩემი ძირითადი სპეციალობა ეკონომიკა იყო. ზოგადად, ლოგისტიკა ეკონომიკის ყველა სფეროში არსებობს და გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის ხარჯზე, ვაკეთო საქმე, რომელიც მიყვარს და აქტუალობას არ კარგავს.

* * *

–ბავშვობიდანვე მქონდა ეს სურვილი ცოდნა საზღვარგარეთ გამეღრმავებინა. ალბათ, მაშინ ნაკლებად ვაცნობიერებდი თუ რატომ...

ვთვლი, განათლება ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების ჩამოყალიბებაში; ოჯახმა და სკოლამ ამაში დამარწმუნა.

აქ სწავლის სხვა სისტემა და პროცესებია (ვერ ვიტყვი რომ სრულიად განსხვავებული საქართველოსაგან), რაც საშუალებას გაძლევს გამოავლინო საკუთარი შესაძლებლობები, გაიცნო ახალი კულტურა და ევროპული გამოცდილება მიიღო.

სიახლეები ყოველთვის ცხოვრებას საინტერესოს ხდის.

* * *

TUHH–ში (ჰამბურგ-ჰამბურგის ტექნიკური უნივერსიტეტი), ისევე როგორც თსუ-ში, სტუდენტების მიერ ხდება სასწავლო პროცესის შეფასება, რაც ზოგადად, ზრდის ჩართულობას აკადემიურ ცხოვრებაში, საბოლოო გამოცდები იგივე მეთოდით ტარდება––მინიმუმ ქულების 50% უნდა დააგროვო.

აქ სწავლის გადასახადი გაცილებით ნაკლებია, საქართველოსთან შედარებით სტუდენტი ორიენტირებული არაა მხოლოდ საგნის ჩაბარებაზე სემესტრის ბოლოს, არამედ ცდილობს საკითხი ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლოს. უფრო მეტი პასუხისმგებლობა იგრძნოს. წარმოიდგინეთ პირველი ლექცია, დილის 8 საათზე და 800 კაციანი აუდიტორია სავსე სტუდენტებით.

სპეციალურად სტუდენტებისათვის, გამოყოფილია ჯგუფები ტუტორების ხელმძღვანელობით (მესამე ან მეოთხე სემესტრიდან). მათგან ვიღებთ რჩევებს სწავლის უკეთ ორგანიზებაზე. დროის ეფექტურად განაწილებასა და პრიორიტეტებზე, პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე.

ვფიქრობ, ცუდი არ იქნება საქართველოს უნივერსიტეტში მსგავსი მეთოდის შემოღება. აქვე მინდა ხაზი გავუსვა უნივერსიტეტის მზადყოფნასა და ინტერესს სტუდენტებისადმი, ხელი შეუწყოს არჩეული პროფესიის საფუძვლიანად დაუფლებას. სემესტრის დასაწყისში და ასევე სემესტრის ბოლოს ჩაგვიტარდა დამატებითი კურსები რამდენიმე საგანში, სასწავლო პროცესისაგან დამოუკიდებლად, უკეთ მობილიზებისა და ჩართულობის მიზნით. უნივერტსიტეტი ახდენს შეხვედრების ორგანიზებას ისეთი მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებთან (პრაქტიკა, დასაქმების შესაძლებლობა). როგორიცაა Hermes, DHL, HHLA, MARTIME GARGO და სხვა.

აქ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დიდი შანსი გაქვს დასაქმების, ვინაიდან განათლება და სწავლების მაღალი დონე აკმაყოფილებს სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს.

* * *

საქართველოში დაბრუნებას ვაპირებ. მინდა ევროპაში მიღებული გამოცდილება, განათლებასა თუ კარიერაში, სამომავლოდ ქვეყნის წინსვლას მოვახმარო.

* * *

ცოტა რთულია თანატოლებს „ვურჩიო", მითუმეტეს ამ ასაკში თითოეული ჩვენთაგანი ალბათ აცნობიერებს რა არის საჭირო, სავალდებულო თუ სასიკეთო. იყავით ოპტიმისტები, თვითკრიტიკულები და ყოველი დღე გამოიყენეთ ცოდნის მისაღებად.

* * *

საქართველომ დემოკრატიულ პროცესებს ბიძგი რამდენიმე ათეული წლის წინ მისცა. ბევრს მიაჩნია, რომ ქვეყანა მზად არის გაწევრიანებისათვის კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების დაცვის, კანონმდებლობის ჰარმონიზების და კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკის სფეროებში. ვთვლი, ამისათვის რიგი საკითხები უნდა მოგვარდეს, როგორიცაა სოციალური პრობლემები, ტერიტორიული მთლიანობა, განათლების ხარისხის გაუმჯობესება თუ მედიის თავისუფლება.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ დემოკრატიული რეფორმების განხორციელება. ეს ნიშნავს, მზადყოფნას ახალი გამოწვევებისადმი.

* * *

გამოვიყენებ შესაძლებლობას და მადლობას გადავუხდი ყველა იმ პიროვნებას, რომელსაც სჯერა ჩემი, სტიმულს მაძლევს და მამხნევებს, მათ ვინც წვლილი შეიტანეს ჩემს ჩამოყალიბებაში, მშობლებს, პედაგოგებს, მეგობრებსა და ახლობლებს.

მანანა შულაია

„ტატალი" მსმენელს ბევრ სიახლეს პირდება

ქართული ხალხური სიმღერის ცრიო, ერთ წელზე მეტია ხომში დაარსდა და მას სათავეში ხომელი ახალგაზრდა **სუსანა არზიანი** ჩაუდგა. ცრიოს სახელწოდებასთან დაკავშირებით არჩევანი „ცაცალი"–ზე შეჩერდა. ამ ხნის მანძილზე მსმენელს დრო და დრო საშუალება მიეცა გაცნობოდა მათ სიმღერებს. და მართლაც, განვლილი ერთი წლის მანძილზე მათ ხომში დამკვიდრება არ გასჭირვებიათ. „ცაცალი" სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ ფესტივალებზე აქტიურად იღებს მონაწილეობას და საკმაოდ წარმატებულადაც.

რამდენიმე კითხვით გავესაუბრე „ცაცალის" ხელმძღვანელს ***სუსანა არზიანს***:

სუსანა, გაეცანით მკითხველს...

–დავიბადე ქ. ხობში, პროფესიით პედაგოგი გახლავართ. ვარ მოსიყვარულე, მეგობრული, ამასთანავე, ძალიან ცნობისმოყვარე. ვფლობ მრავალ სპეციალობას...

როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?

–ჩემი, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანის, ყოველი დღე ღვთის დიდებით იწყება და მთავრდება. ვცდილობ, ჩვეულებრივი დღე არაჩვეულებრივად ვაქციო...

რა არის ის ოცნება, რაც დღემდე არ აგსრულებიათ?

–ძალიან მინდა და დიდი სურვილი მაქვს, მეორე გურიფულში სალოცავი აიგოს, ეს თანასოფლელებისთვისაც დიდი სიხარული იქნება.

რა გახარებთ?

–მიხარია, როცა წარმატებას ვაღწევ და გარშემომყოფთა კომპლიმენ-

ტებს ვიმსახურებ.

თუ გახსოვთ, რამდენი წლის ასაკში დაიწყეთ სიმღერა?

–რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, 5 წლის ასაკში ავლაპარაკებულვარ. როგორც ჩემი ძმა ამბობს, სულ ერთიანადო. ლაპარაკი და სიმღერა ერთდროულად დამიწყია.

როდის გახვედით პირველად სცენაზე?

–პირველად 7 წლის ვიყავი, როდესაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ვიმღერე. დედაჩემი უკრავდა როიალზე, აკომპანირებას აკეთებდა, მე კიდევ გამოუცდელმა, მიკროფონში დედას ვკითხე დავიწყო თქო? ყველამ გაიცინა, მე შემრცხვა... პატარა გოგო ისევ შეძახილებით გამამხნევეს და მთელი გულით ვიმღერე...

რა შეგრძნება გეუფლებათ, როცა წარმატებას თანდათან აღწევთ?

–მადლობა უფალს, რომ ვარ ლაღი და არანაირი გარემოება არ მოქმედებს ჩემზე, ყოველთვის ვიქნები ისეთი უბრალო, როგორიც დღეს ვარ...

ვინ გასწავლათ სიმღერა?

–დედ-მამის მხრიდან ყველანი მღერიან. დიდი ცოდვა იქნებოდა, მათ შვილებს სიმღერა არ გვცოდნოდა. რძალიც ქორეოგრაფია, სუხიშვილების ანსამბლის ყოფილი მოცეკვავე, სამოდელო სააგენტო ნატალის ყოფილი მოდელ-დიზაინერი. ამჟამად პედაგოგი.

თქვენს ტრიოზე რას გვეტყვით, მის დაარსებაზე მოგვიყვეთ...

–ვიცი, რომ უფლის ნებაა ყველაფერი. გოგონათა ტრიოს ჩამოყალიბება დები არზიანების დიდი სურვილი იყო... ჩემი და სოფო მესამე შვილის დედა გახდა და ამიტომაც არ არის ამჯერად ჩემს გვერდით.

რაც შეეხება ტრიოს ჩამოყალიბებას, ერთ დღეს კულტურის სახლში კულტურის ცენტრის დირექტორმა ბატონმა ბეჟან ნადარაიამ დამიბარა და სწორედ მან შემომთავაზა ტრიოს ჩამოყალიბება, მეც დავთანხმდი...

კულტურაში გვყავს სენაკელი თანამშრომელი ბაია ბერიძე, არჩევანი მასზე შევაჩერე, მესამე ხმა დროებით თუთა ღადუაა, რაც შეეხება სახელის შერჩევას, ბევრი ფიქრის შემდეგ ტრიოს „ტატალი" შევარქვი. რატომღაც მინდოდა, ყველასაგან განსხვავებული, ახალი, მეგრული ლამაზი სახელი რქმეოდა, მგონი გამომივიდა. „ტატალი" ხომ მეგრული სიტყვაა და მშვენიერს ნიშნავს.

რა სიახლეებს სთავაზობს მსმენელს „ტატალი?"

–გვაქვს ძალიან ბევრი ლამაზი სიმღერა, მათ შორის რამოდენიმე ჩემი საკუთარი სიმღერაც.

მინდა იცოდეთ, რომ ტრიოს პირველი დებიუტი ჩემი სულიერი მოძღვრის მამა კირიონის ოჯახში ტრაპეზზე შედგა, სადაც კიდევ ექვსი მოძღვარი იმყოფებოდა, მათი კურთხევით გავხდით „ტატალები."

ასე, რომ ბევრ ახალ ლამაზ სიმღერას, სიხარულს, სიყვარულს ვპირდებით მსმენელს...

თქვენი ლექსები არაერთხელ გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში, მოდით ინტერვიუ თქვენი საყვარელი ლექსით დავამთავროთ.

–ჩემი ლექსებიდან ყველაზე ძალიან ეს ლექსი მიყვარს:

* * *

ვაქაუ მზესავით მწველი ხარ
მერე რა, შორითა ხარო,
შენმა თვალემის ცქერამა
დამფერფლა ისე დამწვაო.

წუთისოფლისა წესია
ქალ–ვაქი ერთად შაყაროს,
სიყვარულისთვის შექმნილა
ჩვენი პაცარა სამყარო.

იჩქარე ვაქაუ, იჩქარე,
მოსვლა არ დააგვიანო
დღეს თუ არ მოხვალ ჩემთანა
ხვალე იქნემა გვიანო.

შორით ერთერთის ცქერამა
სწრაფად დალია წელმიო,
იჩქარე, ვაქაუ, იჩქარე
არასდროს ისე გელიო!

ესაუბრა ნანა კემულარია.

ავტორის წასაკითხი

ამახწინათ რედაქციაში გენეტიკურადაც ნიქიერი და წიგნიერი ახალგაზრდა ჯაგი ლევან ღვინჯილია გვეხტუმრა და წინამდებარე ხტატია მოგვიტანა. გულახდილობა მოითხოვს ვთქვათ, ამით მეტად გვახიამოვნა...

შევთანხმდით, რომ იგი ამიერიდან დროდადრო მოგვაწვდის ხტატიებს უცხოელ მწერალთა ნაწარმოებების შესახებ, რათა ამ შინაარსის ხტატიებით არგთუ განებივრებულ მკითხველს გაუადვილოს უცხოური პრობლიხა და პოეზიის გაგნობა.

ამჯერად ბატონი ლევანი ამერიკელი მწერლის ერთ ნაწარმოებს გაგვაგნობს.

კენ კიზი

„გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“

ამერიკელი მწერლის კენ კიზის (1935-2001) რომანი „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“ მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია. ნაწარმოები, რომლის მთავარი თემა დიქტატურისა და თავისუფლების ადამიანური გრძნობები, პირადი ცხოვრება, „სქესი“ და სახეზე მუდმივად ცივი გამომეტყველება დასთამაშებს. მისთვის ერთადერთი ცხოვრება არსებობს – ყველა მეთოდით შეინარჩუნოს სისტემის ქმედითუნარიანობა და პაციენტები ამყოფოს მონურ მდგომარეობაში. ის იყენებს არაადამიანური მოპყრობის თითქმის ყველა მეთოდს დაწყებული გადაადგილების შეზღუდვით და დამთავრებული ლობოტომიით. საინტერესოა ის ფაქტი რომ „ჩვენი“ მის რეჩედების მსგავსად რეჩედი დარწმუნებულია, რომ მისი ქმედებანი ერთ ჰუმანურ მიზანს ემსახურება–საზოგადოებას დაუბრუნოს ზომბირებული და თავისუფლების განცდის უნარდაკარგული ხალხი. ამისათვის იყენებს ტოტალიტარული სისტემებისათვის დამახასიათებელ მეთოდებს – „თერაპიული საზოგადოების თეორიას“. „საზოგადოება წყვეტს, ვინ ნორმალურია და ვინ არა, შენ კი საზოგადოების ერთ-ერთო რიგითო წევრო, კეთილი ინებე და მოერგე, შეეწყვე ამ საზოგადოებას“; „არ უნდა არსებობდეს ადამიანისათვის პირადი საიდუმლო ინფორმაცია... „რაც შეიძლება მეტად დავუახლოვოთ აქაურობა იმ დემოკრატიულ, თავისუფალ ყოფას, რომელშიც საავადმყოფოში მოხვედრამდე გიცხოვრიათ. გვინდა შიდა სამყაროს სახით შევქმნათ იმ დიდი, გარე სამყაროს ზუსტი ასლი, სადაც ერთ მშვენიერ დღეს ისევ დაიკავებთ კუთვნილ ადგილს“.



მოყვარული ადამიანის შეჯახებაა, რაც, რათქმა უნდა, მიუღებელი იყო საბჭოთა სისტემისათვის და შესაბამისად აკრძალულიც იყო ჩვენში. ამ ნაწარმოების მიხედვით მილოშ ფორმანის მიერ შესანიშნავად გადაღებულ ფილმს უფრო იცნობენ, ვიდრე მხატვრულ ტექსტს. ფილმს მართლაც დიდი წარმატება ხვდა წილად, მიიღო რა ხუთი მთავარი „ოსკარი“–საუკეთესო ფილმის, რეჟისურის, მსახიობი ქალის, მამაკაცის და სცენარისათვის, რამაც კიდევ უფრო გაზარდა წიგნის პოპულარობა.

რომანი „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“ შეიძლება წაკითხულ იქნეს, როგორც ბუკვალურად (პირდაპირ) ასევე გადატანითი (სიმბოლური) მნიშვნელობით.

ფსიქიატრიული საავადმყოფოში არსებული ტოტალიტარული სისტემის შემქმნელი და აპოლოგეტი არის ექთანი მის რეჩედი. ქალი, რომელსაც არ გააჩნია მისი მოქმედებების შედეგად მის რეჩედის მიერ შექმნილ სისტემას ბზარები გაუჩნდა. მაგრამ სისტემა რისი სისტემაა თუ მან ძალისმიერ მეთოდებს არ მიმართა–მაკმერფის რამოდენიმეჯერ უტარებენ ელექტროშოკურ თერაპიას ერთი მიზეზით- დამორჩილდეს სისტემის პრინციპებს. მაკმერფიმ საავადმყოფოში შეიტანა თავისუფლების დიონისური ელემენტები– ღვინო და ქალები. საავადმყოფოს ბინადართა გმირი დაუმორჩილებელი პაციენტია, რომელიც მათში აღტაცებას იწვევს.

რეჩედის მუდმივმოქმედი პრინციპი „მიზანი ამართლებს საშუალებას“ ისევ ძალაშია და მაკმერფის დასამორჩილებლად მიმართავს უმძიმეს ფორმას–ლობოტომიას (თავის ტვინის თეთრი ნივთიერების წარმომქმნელი ნერვული ბოჭკოების გადაჭრის ოპერაცია), რის შედეგადაც ადამიანისაგან რჩება კვაზიადამიანი – „კომბოსტო“ (კენ კიზის ტერმინია). ოპერაციის შედეგად მაკმერფი სიკვდილს ებრძვის, იტანჯება, წვალობს – რისგანაც მას ბრომდენი იხსნის (ბალიშის დახმარებით).

ბრომდენი საკვანძო პერსონაჟია, რომელიც უკვე ათი წელია თავისი ნებით იმყოფება დაწესებულებაში და თამაშობს ყრუმუნჯის როლს. სწორედ ნახევრად ინდიელი ბრომდენი გაიქცევა საავადმყოფოდან და ეზიარება თავისუფლებას.

ვინ გაიმარჯვა – მაკმერფიმ თუ სისტემამ!?

მაკმერფიმ თავისი ქმედებებით ტოტალიტარულ რეჟიმს გაუჩინა ბზარი და გაჭრა გზა თავისუფლებისაკენ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მაკმერფის მსგავს ადამიანებს სდევნის და სჯის რეჟიმი. სანამ ამ სამყაროში ორი ადამიანი მაინც იარსებებს იქნება კენ კიზის უკვდავი რომანის არსებობის აუცილებლობა.

ლევან ღვინჯილია

ა უ ქ ც ი ო ნ ი

დანართი №1

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს №1,2 დანართის შესაბამისად.

№	ქონების დასახელება	სარეგისტრაციო ნომერი	გამოშვების წელი	ფერი	ტიპი	აუდიტორული შეფასება	„ბე“ 10%	„ბიჯი“ 10%	ბილეთის ფასი	შემოსულობების სახაზინო კოდი ბანკში
1	ა/მანქანა „ფორდ მონდეო1,8“	NAA 876	1994	ლურჯი	ჰეტჩბეკი	952	95	95	20	300403332
2	ა/მანქანა „მერსედეს ბენც“	SZS002	2001	ყავისფერი 2/8	მაღალი გამავლობის	3360	336	336	20	300403332
3	ა/მანქანა „ოპელ ომეგა“	BBT 268	1995	მწვანე 8/8	სედანი	350	35	35	20	300403332
4	ა/მანქანა „მონტერო-სპორტი“	AOO009	1999	შავი	მაღალი გამავლობის	2957	296	296	20	300403332
5	ა/მანქანა „ფორდიქსფოროულერი“	SDS507	1998	შავი	მაღალი გამავლობის	2970	297	297	20	300403332
6	რენო-მეგანი	MCM-514	1997	ლურჯი7/8		1600	160	160	20	300403332
7	ვაზ. 21-061	FAN-282	1995	თეთრი		1100	110	110	20	300403332
8	ვაზ. 21-07	NBN-891	2005	თეთრი		1600	160	160	20	300403332

დანართი №2

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს №2 დანართის შესაბამისად.

№	დასახელება	მდებარეობა	რაოდენობა	ერთეულის გასაყიდი ფასი	„ბე“ 10%	ბიჯი 10%	მონაწილის ბილეთი	შემოსულობების სახაზინო კოდი ბანკში
1	წისქვილი	ქარიატა	1	55	5.5	5.5	20	300403332
2	წისქვილი	ქ.ხობი ბარათაშვილის ქუჩა	1	23	2.3	2.3	20	300403332
3	წყლის შრიცხველი	ახ.სოფელი	4	18,5	1,85	1,85	20	300403332
4	წყლის შრიცხველი	საგვინიო	3	4,5	0,45	0,45	20	300403332
5	ფუნდამენტის ბლოკი	ქვ. ქვალონი	37 28	8,16 4,13	0,82 0,42	0,82 0,42	20	300403377

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2014 წლის 8 თებერვალი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები:ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო– 20122900, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი– 220101222.

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“- ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ),,ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

თვალცრემლიანი ქართული ცეკვა

29 იანვარს კულტურის სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტთან არსებულმა ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „სეუმ“ და ტრაგიკულად დაღუპული გიორგი ბუკიასა და ზურაბ მეგრელიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გამართა.

კონცერტზე ერთმანეთს ცვლიდა კადრები მოგონებებიდან, ცეცხლოვანი ქართული ცეკვები და ცნობილი კლასიკური კომპოზიციები. გამორჩეული ქორეოგრაფული მანერით შესრულებულმა ცეკვებმა დამსწრე საზოგადოება აღაფრთოვანა, ხოლო ცეკვამ „ერისეული“ (დამდგმელი ქორეოგრაფები-ზაალ ჭუმბურიძე და კახა დგებუაძე, მუსიკალური გაფორმება-ემზარ შარვაშიძე, კოსტუმების ავტორი-მაია ჭუმბურიძე) მაყურებელთა დიდი ოვაცია დაიმსახურა. კონცერტში ასევე მონაწილეობა მიიღეს სახალხო ანსამბლ „კოლხეთის“ მოცეკვავეებმა.

საღამოს ტრაგიკულად დაღუპული გიორგი ბუკიას ოჯახის წევრები და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

კონცერტის დასასრულს დარბაზში მსხდომ საზოგადოებას ოჯახის ახლობელმა ქალბატონმა ვაინა ბუკიამ მიმართა:

„დღეს ჩვენ დამსწრენი გავხდით ამ ულამაზესი კონცერტის, რომელიც ჩაატარა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „სეუმ“ და ტრაგიკულად დაღუპული გიო ბუკიასა და ზურა მეგრელიშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

გიოს დაღუპვის შემდეგ გაუსაძლისმა მწუხარებამ დაისადგურა მის ოჯახში. მისი მშობლების ჯამილა ბერიშვილის და უტა ბუკიას აზრით მათთვის ქვეყანაზე მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობდა და ეს გზა გიოს საფლავთან მთავრდებოდა. როგორც კი გიოსთან ერთად ავტოკატასტროფას გადარჩენილმა მშობლებმა ოდნავ ფეხზე დადგომა შეძლეს, ამ გზას ისინი ადგებოდნენ ნებისმიერ დროს, ზოგჯერ შუაღამითაც კი, როდესაც გიოს მონატრების ატანა შეუძლებელი იყო. მაგრამ მეგობრების ძალისხმევამ, თქვენმა თანადგომამ დაანახა მათ, რომ ყველაფერი არ დამთავრებულა, რომ არსებობდა მომავლისკენ მიმავალი კიდევ სხვა გზა, რომელსაც აუცილებლად უნდა დადგომოდნენ. ისინი მხოლოდ 22 წლისანი არიან. მათ უნდა იცოცხლონ გიოს ხსოვნისათვის, რამეთუ ხსოვნა სიცოცხლის გაგრძელებას ნიშნავს. უნდა ირწმუნონ, რომ გიო მხოლოდ ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლა, თავის ნათლია ზურასთან ერთად. ამასთან ერთად უნდა იფიქრონ იმაზე, რომ ზედმეტი ურვა შეაწუხებს გარდაცვლილს.

დიდი მადლობა ჩვენი რაიონის გამგეობისა და საკრებულოს თითოეულ თანამშრომელს, იმ დიდი თანადგომისათვის, რომელიც თქვენ გაუწიეთ ამ ოჯახს და გულთან მიიტანეთ მათი დიდი მწუხარება.

დიდი მადლობა კულტურის ცენტრის ყველა თანამშრომელს თანადგომისა და იმ დიდი გულისხმიერებისათვის, რომელიც თქვენ გაუწიეთ ამ ოჯახს და ჩვენს საგვარეულოს.

დიდი მადლობა ბატონ კობა გერგაიას, რომელსაც ერთი წუთით არ მიუტოვებია თავისი აღზრდილი მძიმე წუთებში, ამ წუთების ჯამმა კი ერთი წელიწადი შეადგინა.

თუ სხვისი თანადგომა, ჭირისა და ლხინის გაზიარება არ შეგიძლია ვეღარ იცხოვრებ ლამაზად. ეს თვისებები კი თითოეულ თქვენგანში ჭარბადაა და გისურვებთ ამ ლამაზი სიცოცხლის ხანგრძლივობას, სამშობლოს სადიდებლად და ერის გასახარად.

დაუვიწყარი ხსოვნის საღამო

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან არსებული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „სეუ“ ეწვია ჩვენს მუნიციპალიტეტს და ტრაგიკულად დაღუპული ანსამბლის წევრის ზურაბ მეგრელიშვილისა და ზურაბ (უტა) ბუკიას შვილის, გიო ბუკიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გამართეს, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებაში , მათ შორის ჩემში. ძნელია გამოვხატო ის ემოცია, რომელიც იმ წუთებში განვიცადე. პროფესიონალთა ნაკრებმა გუნდმა დაუვიწყარი დღე აჩუქა ჩვენს მუნიციპალიტეტს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მთელ შემადგენლობას და განსაკუთრებით ღონისძიების ინიციატორებს. აღსანიშნავია, რომ მოცეკვავე გოგო ბიჭები ორი საათის განმავლობაში დაუღალავად ცეკვავდნენ ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში.

...იყო სიხარული, ცრემლი, მოგონებები და ტკივილი... პატივი მივაგეთ უდროოდ წასული ორი შესანიშნავი ახალგაზრდის ხსოვნას. კიდევ ერთხელ ვუთანაგრძნობ გარდაცვლილთა ოჯახებს.

ედიშერ ჯობავა,
ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე.

ხობელთა წარმატება რეგიონალურ ტურნირზე

2014 წლის 29 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით ქ. ფოთში ჩატარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 2014 წლის ჩემპიონატი ჭადრაკში 7, 10, 14 და 16 წლის გოგონათა და ჭაბუკთა შორის.

ტურნირში წარმატებით იასპარეზეს განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის ჭადრაკის ჯგუფის მოსწავლეებმა.

ჩვენმა მოჭადრაკეთა გუნდმა შეჯიბრი სამი I, ორი II და ორი IV ადგილით დაასრულა.

ლუკა შამუგიამ მოიპოვა ორი პირველი ადგილი 14 წლიანებთან (ერთი წლით უფროსები) ორთაბრძოლასა და სწრაფ ჭადრაკში და გახდა ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონი;

10 წლიან გოგონებში I ადგილი მოიპოვა და გაუსწრო ევროპის თასის ორგზის მფლობელ დიანა ლომაიას 9 წლის ანა კვიკვინიამ;

10 წლიან გოგონებში II ადგილის მფლობელი გახდა დიანა ლომაია;

14 წლიან ჭაბუკებში (ერთი წლით უფროსები) II ადგილი დაიკავა გიორგი ლატარიამ;

ასევე ერთი წლით უფროსებთან პაექრობაში IV ადგილს დასჯერდა ამირან შონია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსი გახლავთ 8 წლის თეიმურაზ კვიკვინია, მან ორი წლით უფროსებთან IV ადგილი მოიპოვა.

ტურნირში მონაწილე ყველა მოსწავლე გახლავთ საქართველოს ასაკობრივი ნაკრები გუნდის წევრი ან კანდიდატი. მწვრთნელ-მასწავლებელი ირაკლი გეთია.

I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები ორგანიზატორებმა დააჯილდოვეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჭადრაკის ფედერაციის საპატიო დიპლომებითა და მედლებით. I ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს გადაეცათ თასები.

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ინფორმაცია

გამოიწერეთ გაზეთი „ხობის მოამბე!“

ერთი წლით,
მხოლოდ 17 ლარად!

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.